საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 9 21 0000680197

06/07/2021

2021-2022 სასწავლო წელს სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2021 წლის 05 ივლისის N669583 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021-2022 სასწავლო წელს სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების შესაბამისად ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული საჯარო სკოლების პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადა დადგინდეს 2021 წლის 07 ივლისიდან 2021 წლის 08 ივლისის ჩათვლით;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი